ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032309484-03
თარიღი: 04.04.2023 13:29
ვადა: 05.05.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01230941223 განცხადების თარიღი: 04.04.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

28-94 და 28-96 დადგენილებებში შესატანი ცვლილებების პროექტები.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032309484-03
04.04.2023 : 13:29
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01230941223**
თარიღი: **04/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტის მიღება განპირობებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით, (ვებ-გვერდი; www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019385), კერძოდ, მითითებული კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა 156[1] მუხლი (პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვნისთვის მიყიდვა) (ამავე კანონით, ცვლილება შეეხო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209[3] მუხლის პირველ, მე-2[1] და მე-3 ნაწილებს, წინამდებარე ცვლილების დეფინიციიდან გამომდინარე, ვინაიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ამავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს „გ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „გ.დ[1]“ ქვეპუნქტი რომლის, თანახმად გარე ვაჭრობის მონიტორინგის განყოფილება განახორციელებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პიროტექნიკური ნაკეთობების არასრულწლოვანთათვის მიყიდვის ფაქტების გამოვლენას, ხოლო ზემოხსენებული დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „ე.ა[1]„ ქვეპუნქტი რომლის, თანახმად აკუსტიკური ხმაურის კონტროლის განყოფილება განახორციელებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენების ფაქტების გამოვლენას,

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი ზეგავლენას არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტის მიღება განპირობებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით, (ვებ-გვერდი; www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019385), კერძოდ, მითითებული კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა 156^1 მუხლი (პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვნისთვის მიყიდვა) (ამავე კანონით, ცვლილება შეეხო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლის პირველ მე-2^1 და მე-3, ნაწილებს, კერძოდ, 156^1 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, ასევე, ამავე კოდექსის 156^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის 209^3 მუხლის მე-2^1 ნაწილის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია (შემდგომში – მუნიციპალური ინსპექცია) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აბრის, გარევაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე ინსპექტირებას“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საჭიროა „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში აისახოს აღნიშნული ცვლილება, რადგან 156[1] მუხლის გათვალისწინებით მუნიციპალურმა ინსპექციამ განახორციელოს კონტროლი არასრულწლოვანთათვის პიროტექნიკის მიყიდვაზე.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ინფორმაცია ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შესახებ

სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსიდან.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი ზეგავლენას არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №----

2023 წლის ----

ქალაქი თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლის 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) (ვებ-გვერდი www. matsne.gov.ge 26.09.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016547) და:

1. დადგენილების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლის, 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 135^4, 146^1 მუხლის, 150^2 მუხლის, 150^3 მუხლის, 151^1 მუხლის, 152^3 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 153^9 მუხლის, 156^1 მუხლის, 158^3 მუხლის, 158^4 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 209^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 234^1 მუხლის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 242-ე მუხლის 3^1 ნაწილის, 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12-მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{5} მუხლით, 77^{1} მუხლით, 77^{2} მუხლით, 82^{5} მუხლით, 135^{4}, 146^{1} მუხლით, 150^{2} მუხლით, 150^{3} მუხლით, 151^{1} მუხლით, 152^{3} მუხლით, 152^{5} -152^{9} მუხლებით 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9} მუხლით, 156^{1} მუხლით, 158^{3} მუხლით, 158^{4} მუხლით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში – ინსპექცია) დებულებით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).“;

გ) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{5} მუხლით, 77^{1} მუხლით, 77^{2} მუხლით, 82^{5} მუხლით, 135^{4}, 146^{1} მუხლით, 150^{2} მუხლით, 150^{3} მუხლით, 151^{1} მუხლით, 152^{3} მუხლით, 152^{5} -152^{9} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9} მუხლით, 156^{1} მუხლით, 158^{3} მუხლით, 158^{4} მუხლის, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართის №1);“;

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{5} მუხლით, 77^{1} მუხლით, 77^{2} მუხლით, 82^{5} მუხლით, 135^{4}, 146^{1} მუხლით, 150^{2} მუხლით, 150^{3} მუხლით, 151^{1} მუხლით, 152^{3} მუხლით, 152^{5} -152^{9} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9} მუხლით, 156^{1} მუხლით, 158^{3} მუხლით, 158^{4} მუხლით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით

გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ ;

ბ) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო მოხელე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135^4, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^1 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135^4, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5-152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^1 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოხელემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ, საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №____

2023 წლის ___

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 26/09/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016549) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს:

ა) „გ“ ქვეპუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ.დ[1]) ახორციელებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პიროტექნიკური ნაკეთობების არასრულწლოვანთათვის მიყიდვის ფაქტების გამოვლენას.“.

ბ) „ე“ ქვეპუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ე.ა[1]) ახორციელებს პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების ფაქტების გამოვლენას, აღკვეთას და სამართალდამრღვევი პირების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის - საჯარიმო ქვითრის შედგენას.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	გიორგი ტყემალაძე